შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (10.041)

24 სექტემბერი — 1 ოქტომბერი 2022

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რთველი დედოფლისწყაროში სრულდება

რა პრობლემებს აწყდებიან დედოფლისწყაროელი მევენახეები?

დედოფლისწყაროში რთველი დასასრულს უახლოვდება. როგორც მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლებში-საბათლოში, ფიროსმანსა და სამთაწყაროში აცხადებენ, აქ რთველი, პრაქტიკულად, დამთავრდა. მოსახლეობამ ყურძენი დედოფლისწყაროში გახსნილ ღვინის მარანში ჩააბარა. „ყურძნის ჩაბარება აქ ბევრად მომგებიანია. ჯერ ერთი, მანქანის მძღოლის მომსახურება გაცილებით იაფი ჯდება და თან დღეების განმავლობაში გრძელ რიგში დგომაც აღარ გვიწევს. გარდა იმისა, რომ მანქანის მომსახურების ფასი გვეზრდებოდა, ყურძენიც ფუჭდებოდა. ახლა ორმაგად მომგებიან პოზიციაში ვართ“-აცხადებენ სამთაწყაროელი მევენახეები.

საბათლოში ამბობენ, რომ რთველი აქ წარმატებით ჩატარდა. სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, მათ ყურძენი, ძირითადად, ღვინის კერძო მარნებში ჩააბარეს. ფასითაც კმაყოფილები არიან. **საფერავში მევენახეებს 1.60-1.55 თეთრი გადაუხადეს, რქაწითელში კი-95 თეთრი. მიუხედავად იმისა, რომ** ფასით უკმაყოფილოები არ არიან, მიიჩნევენ, რომ გაძვირებული საწვავისა და შხამ-ქიმიკატების ფონზე, ყურძნის მოყვანა საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

ფიროსმანში რთველი საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. არც ყურძნის რეალიზაციის პრობლემა შექმნიათ და ფასებითაც კმაყოფილები არიან. როგორც აქაურები აღნიშნავენ, დედოფლისწყაროში გახსნილმა ღვინის ქარხანამ უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა და მევენახეები გრძელი რიგებისგან და ყურძნის გაფუჭებისგან იხსნა. ფიროსმანში მხოლოდ "კაბერნეს" ჯიშის ყურძენია დასაკრეფი და დასაბინავებელი. როგორც აქაური მევენახეები აცხადებენ, ამ პრობლემასაც მოაგვარებენ, მთავარია, უამინდობამ ხელი არ შეუშალოთ.

სამთაწყაროში ყურძნის ძირითადი რაოდენობა დაიკრიფა, მხოლოდ მცირე ზომის ვენახებიღაა დარჩენილი. ფიროსმანელი მევენახეების მსგავსად, წლევანდელი მოსავლითაც და ყურძნის რეალიზაციითაც კმაყოფილები არიან. ამბობენ, რომ პროდუქციის მოყვანა ძალიან გაძვირდა, მაგრამ ვენახი საქართველოს სიმბოლოა და მასზე უარს არასოდეს იტყვიან.

გაცილებით რთული ვითარებაა არხილოსკალოში, სადაც რთველი ახლახან დაიწყო. როგორც სოფლის მოსახლეობის ნაწილი აცხადებს, ღვინის ქარხნებს ყურძნის მიღება მათთვის მისაღებ ფასად აღარ სურთ. ამის გამო, მოსახლეობის ერთი ნაწილი საპროტესტო **გამოსვლებსაც გეგმავს. „ყურძნის იმ ფასით, რომელიც დაანონსებული იყო, ყველანი კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ ახლა გვეუბნებიან, რომ ლიმიტი ამოგვეწურა, მეტი ყურძენი აღარ გვჭირდება და იაფად გვთავაზობენ პროდუქციის მიღებას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ“**-აცხადებენ არხილოსკალოში. როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში განმარტავენ, **„კერძო მარნებს ვერავინ დააძალებს ყურძნის მიღებას, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ღვინის ქარხანა, რომელიც ყურძენს უპრობლემოდ იბარებს, თუმცა, იქ ფასი გაცილებით დაბალია“.**

მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილების მიზეზიც ეს ფაქტია.

საქართველოს მთავრობამ, მევენახეების დასახმარებლად, წელს ყურძნის სუბსიდირების პროგრამა კვლავ განახორციელა. ხელისუფლების ფუნქცია არაა გასაღების ბაზრის პოვნა, თუმცა, საქართველოში, დიდი ხანია, დამკვიდრდა ტენდენცია, რომ სახელმწიფომ შუამავლის როლი უნდა მოირგოს ყურძნის მწარმოებლებსა და ღვინის ქარხნებს შორის. არადა, საბაზრო ეკონომიკა მოთხოვნა-მიწოდების ხარჯზე თავად აწესებს ფასს. სამწუხაროდ, უკრაინაში მიმდინარე საომარმა ვითარებამ სიტუაცია რადიკალურად შეცვალა ბევრ სფეროში. მათ შორისაა ღვინის ექსპორტიც. ქართული ღვინო, ძირითადად, რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ბაზრებს იკავებდა, დღეს შექმნილი სიტუაციის გამო, ღვინოზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირებულია. ამიტომ ყურძენზე მცურავი ფასი გასაკვირიც არ უნდა იყოს.

დედოფლისწყაროში გახსნილი ღვინის ქარხანა შპს „ქართული ფესვები“ მოსახლეობისგან ყურძენს წელს პირველად იღებს. 23 სექტემბრის მონაცემებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გადამუშავებულია 5,8 ათასი ტონა ყურძენი, მათ შორის, 1,8 ათასი ტონა რქაწითელი, 3,6 ათასი ტონა საფერავი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ყურძნის რეალიზაციის შედეგად, დედოფლისწყაროს მევენახეების შემოსავალმა 7,8 მლნ ლარს მიაღწია.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იწყება

ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დღეიდან იწყება. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ, 200 000 დოზა „სანოფი პასტერის“ წარმოების ოთხ-კომპონენტიანი ვაქცინა უკვე შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმო-ს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე დაყრდნობითა და ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია შემდეგ რისკ ჯგუფებს უფასოდ ჩაუტარდება: დიაბეტის მქონე პირები, დიალიზზე მყოფი პირები, ც ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი), აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები, ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები, ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი, ორსულები, 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები, მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების თანამშრომლები, ექიმები, ექიმი-რეზიდენტები, ექთნები (მ.შ. უმცროსი ექთნები, ექთნის თანაშემწეები), საექიმო და საექთნო საქმის პროფესიული პრაქტიკის სტუდენტები, ბებიაქალები, სტომატოლოგები, სტომატოლოგის ასისტენტები, სტომატოლოგიის ექთნები, სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან, სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიოლოგიურ მასალასა და პაციენტებთან, ფრინველებთან მომუშავე პერსონალი, მეცხოველეობაში დასაქმებულები/ფერმების თანამშრომლები, მონადირეები, ვეტერინარები, ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები, ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მომსახურე კონტინგენტი, საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში წამსვლელი სამხედრო მოსამსახურეები, ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები, საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო სამედიცინო გვარეობის საშტატო თანამდებობაზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი, პატიმრობის დაწესებულება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ბრალდებულთა/მსჯავრდადებულთა სამკურნალო დაწესებულება.

დასახელებულ რისკის ჯგუფებს, შეუძლიათ, მიმართონ ვაქცინაციის მიმწოდებელ დაწესებულებებს. უწყებაში სერვისის მისაღებად, მოქალაქეებმა თან უნდა იქონიონ საკუთარი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. ჯანმოს რეკომენდაციების თანახმად, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რეკომენდებულია გრიპის ვირუსის აქტიური ტრანსმისიის დაწყებამდე.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა.

სხდომაზე ცვლილება შევიდა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე“ საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის N46 განკარგულებაში.

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად საპროექტო წინადადებების ნუსხას კიკ ბოქსინგის დარბაზი შეემატა.საარჩევნო დაპირებების თანახმად დარბაზი ქალაქ დედოფლისწყაროში აშენდება და ხელმისაწვდომი იქნება როგორც წარმატებული სპორტსმენებისთვის, ასევე სპორტით დაინტერესებული პირებისთვის.

დედოფლისწყაროში კიკ ბოქსინგის გუნდი 30 წელია არსებობს, საიუბილეო ჩემპიონატი ჩვენს ქალაქში რამდენიმე კვირის წინ შედგა. ამ დროის განმავლობაში დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. სხვადასხვა წლებში მათ 6 მსოფლიო ოქრო, მრავალი ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ახალი სპორტული დარბაზი დედოფლისწყაროში სპორტის ამ სახეობას კიდევ უფრო განავითარებს. კიკბოქსინგელებს 12 წლის განმავლობაში გაერთიანების ამორტიზებულ შენობაში სათანადო პირობებისა და ინვენტარის გარეშე უხდებოდათ ვარჯიში, თუმცა, ამას მათი წარმატებებისთვის ხელი არ შეუშლია.

ქონებაზე ყადაღის დადების საკითხები ახლებურად მოწესრიგდება

ქონებაზე ყადაღის დადების საკითხები ახლებურად მოწესრიგდება. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები განიხილა. კანონპროექტი სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის ქონებაზე ყადაღის დადების საკითხების ახლებურად მოწესრიგებას ითვალისწინებს და ის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მომზადდა.

პროექტის თანახმად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ან ქონებას, რომლის მიმართაც ჩადენილია დანაშაული, ყადაღა შეიძლება დაედოს მაშინ თუ: - არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას ახალი დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებენ; არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას გაანადგურებენ ან დააზიანებენ; არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას გადამალავენ, გაასხვისებენ ან დახარჯავენ; ქონებაზე ყადაღის დადება აუცილებელია მისი შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, რადგან დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტით დასტურდება სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ქონების ჩამოსართმევად საჭირო შესაბამისი გარემოებების არსებობა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის და კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის ანრი ოხანაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ლეგიტიმური მიზნების განხილვა წარიმართოს არა ზოგადად, ერთიანად და ყველა შემთხვევაში მოხდეს ან სარგებლობის აკრძალვა ან განკარგვის აკრძალვა, არამედ ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით, იმისდა მიხედვით, რა მიზანს ესწრაფვის პროკურატურა და სასამართლომ რა მიზნისთვის უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა.

„გთავაზობთ, რომ ავტომატურად განკარგვის აკრძალვა არ ნიშნავდეს სარგებლობის აკრძალვას. იმ შემთხვევაში თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას ახალი დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებენ ან ამ ქონებას გადამალავენ, გასხვისებენ ან დახარჯავენ, ამ შემთხვევებში ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს აუკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე, ქონებით სარგებლობის აკრძალვაც მოხდება“, - აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ან ქონებას, რომლის მიმართაც ჩადენილია დანაშაული, ყადაღა სამ ეტაპად ედება და თითოეულ ეტაპზე ყადაღის დადების ვადა არის 12 თვე.

ასევე, თუ დაწყებულია “სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შესაბამისი პროცედურები, ქონებაზე ყადაღის დადება ხუთ ეტაპად ხორციელდება და თითოეულ ეტაპზე ყადაღის დადების ვადა, ასევე, 12 თვეა.

ყოველ შემდეგ ეტაპზე დადგენილი ვადით ქონებაზე ყადაღის შესახებ სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდების მხარე მიმართავს.

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, მიხეილ სარჯველაძე, ალუდა ღუდუშაური, გიორგი ამილახვარი, ალექსანდრე ტაბატაძე, ნინო იობაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და ფრიდონ ინჯია.

„დავასუფთავოთ მსოფლიოს“ კამპანიას დედოფლისწყაროც შეუერთდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მსოფლიოს დასუფთავების დღეს შეუერთდა. აქციის ფარგლებში დედოფლისწყაროს ა(ა)იპებისა და მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებმა ქ. დედოფლისწყაროს რეკრეაციული ზონები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმინდეს.

საერთაშორისო კამპანიას - „დავასუფთავოთ მსოფლიო“ - საფუძველი 1993 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ინიციატივით ჩაეყარა და მასში 130-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული. კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარჩვევების გამომუშავებას. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ინიციატივით 2010 წელს „დავასუფთაოთ მსოფლიოს“ კამპანიას საქართველოც შეუერდა.

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

განახლებადი ენერგიები, როგორც ენერგოუსაფრთხოება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამა „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში" (IRDG) სრულად პასუხობს საქართველოს სოფლის გამოწვევებს და ადგილობრივი თვითმმართველობების და სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობს, ეროვნული სამოქმედო გეგმების და მასთან დაკავშირებული პროგრამების ეფექტური განხორციელებით, მიაღწიოს დასახული მიზნების შესრულებას რეგიონულ დონეზე. დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - LAG", საქართველოს ლაგების ასოციაციის წევრია და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქოლგის ქვეშ, აქტიურად მუშაობს საქართველოში ევროპული „ლიდერ" მიდგომის (ქვემოდან - ზემოთ) მეთოდოლოგიის დანერგვაზე და ხელს უწყობს ეროვნული პოლიტიკის გატარებას ადგილობრივ დონეზე.

ის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული და საერთო ინტერესებით მუშაობს. ცდილობს გააუმჯობესოს სოფლად საცხოვრებელი გარემო, ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ადგილობრივთა დასაქმების და მომსახურების სფეროს განვითარების გზით, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, განახლებადი ენერგიების გამოყენებას და კლიმატის გამოწვევების დაძლევას.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ჩვენს ქვეყანას აქვს კონკრეტული გეგმები და განვითარების სტრატეგია CO-ს შემცირების კუთხით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია არის ხელმომწერი დოკუმენტზე „მერების შეთანხმება ეკონომიკური განვითარებისთვის", რაც თანხვედრაშია „პარიზის შეთანხმება"-სთან. ამ შეთანხმების მიზნები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, როგორიცაა ენერგოეფექტურობის ამაღლება, ენერგოუსაფრთხოება და სხვა. მნიშვნელოვანია ეტაპობრივად მოვახდინოთ განახლებადი ენერგოსერვისების დანერგვა და ენერგოეფექტური მასალების გამოყენება როგორც საყოფაცხოვრებო პირობებში, ასევე, ბიზნეს სექტორში.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება დედოფლისწყაროში მიმდინარე ახალი პროექტი „ინოვაციური მიდგომები - განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში", რაც გულისხმობს მზის პანელების გამოყენებას შინამეურნეობებისთვის. პროექტის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფებისთვის, უკვე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები/სემინარები, „ლაგის" პარტნიორი ორგანიზაციის - („მწვანე რეგიონები") ექსპერტთა დახმარებით მომზადდა საინფორმაციო ცნობარი კლიმატის ცვლილების, განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურების შესახებ. კომპანია „ჰელიოს ენერჯი-ს" ჰელიო აკადემიაში მზის პანელების გამოყენების საბაზისო უნარებს დაეუფლა ლაგის წევრი 4 ახალგაზრდა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორები, რომლებიც სხვადასხვა დონეზე, უშუალოდ იქნებიან ჩართული მიკროელექტროსადგურების მოწყობის საქმიანობებში და მომავალში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელებენ მონიტორინგს ახალ ენერგოსერვისზე და დაეხმარებიან დაინტერესებულ ადამიანებს მზის პანელების გამოყენებით განახლებადი ენერგიის ხელმისაწვდომობაში.



რა ვიცით და რა უნდა ვიცოდეთ ენერგო მოხმარების საკითხებზე?

საექპერტო დახმარების ფორმატში მიმდინარე პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები" -ექსპერტების ავთანდილ გელაძის და რუსუდან სიმონიძის მიერ საგანმანათლებლო სემინარები/ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემატიკაზე:

1)კლიმატის ცვლილება, გამომწვევი მიზეზები და შესაძლო გავლენა, საქართველო საერთაშორისო ვალდებულებები

2)საქართველოს განახლებადი ენერგიების პოტენციალი და მათი ათვისების შესაძლებლობები

3) საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის მიმოხილვა და პროგნოზები

4) ენერგოეფექტურობის არსი და არსებული რესურსების ამოქმედების შესაძლებლობები

5) საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის რეგულირებასთან დაკავშირებით

პროექტის განმავლობაში და შემდგომაც, ექსპერტები განახორციელებენ, მონიტორინგს ჰელიო კომპანიის(ჰელიოს ენერჯი) მიერ მზის პანელების მონტაჟის, ქსელში ჩართვის და აღრიცხვის პროცესზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ხუთი საინფორმაციო შეხვედრა და ხუთი ტრენინგი/სემინარი(ქალაქ დედოფლისწყაროში ორ-ორი და თითო-თითო სოფლებში: ფიროსმანი, ქვემო ქედი და მირზაანი). სემინარების ჩატარების პროცესში მონაწილეთა მიერ შევსებული პრე და პოსტ ტესტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ, გაკეთდა ანალიზი ადგილობრივთა საბაზისო ცოდნის შესაფასებლად. ორივე ტესტი შესაბამისობაში იყო სემინარებზე განსახილველ საკითხებთან და შეიცავდა:

- **PRE-ტესტი - 8 კითხვას 36 სავარაუდო პასუხით;**
- **POST-ტესტი - 5 კითხვას 19 სავარაუდო პასუხით.**

როგორც მოსალოდნელი იყო, PRE-ტესტზე პასუხებში შეცდომები იყო მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე POST-ტესტის პასუხებში.

სულ შევსებულ 102 PRE-ტესტში შეცდომა დაუშვა ყველა მსმენელმა, დაშვებული იქნა სულ 172 შეცდომა (60%-ზე მეტი) და ეს შეცდომები თანაბრად ნაწილდება ლოკაციების მიხედვით.

შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ მოსახლეობა ნაკლებად ინტერესდება მოხმარებული ენერგორესურსების რაოდენობით და ერთეული ენერგომატარებლის ღირებულებით.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოება ნაკლებადაა დაინტერესებული მოხმარებული ენერგომატარებლების დათვლით და მხოლოდ საბოლოო შედეგის (თვიური, ან წლიური მაჩვენებელი) მიხედვით რეაგირებს საკუთარი და მისი ოჯახის წევრების მხრიდან ენერგომატარებლების დაზოგვაზე.

იგივე ნათლად აჩვენებს იმასაც, რომ ენერგოეფექტურობა არ წარმოადგენს აქტუალურ თემას, თუმცა სამომავლო პროგნოზებით ეს საკმაოდ აქტუალურ თემად იქცევა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უკვე კანონი გვავალდებულებს შენობების მოწყობას ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც ექსპერტმა ავთანდილ გელაძემ განუმარტა მსმენელებს, მალე, კერძო მესაკუთრეები ველარ გაყიდიან უძრავ ქონებას (სახლებს), თუ არ არის შენობა ენერგოეფექტური.

სხვა თეორიულ საკითხებზე არადადექვატური პასუხები, ექსპერტთა აზრით, მიუთითებს ცნობიერების ამაღლების საჭიროებასა და აუცილებლობაზე.

POST-ტესტის პასუხები გაცილებით გამართული და ადექვატურია, თუმცა აქაც იქნა დაშვებული 40 შეცდომა (98 მსმენელის მიერ 220 შესაძლებლობიდან), მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ზოგიერთი მსმენელის მიერ არასაწორი შეფასება მხოლოდ უყურადღებობის შედეგია.

ინფორმაცია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP საქართველო) „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში", პროექტის - „ინოვაციური მიდგომები - სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში"-ფარგლებში.

ანა ბენაშვილი

ბაღებში სასწავლო პროცესი დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 19 სექტემბერს დაიწყო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილი და ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის ახალი დირექტორი ირმა ჯანაშვილი სოფელ ხორნაბუჯისა და ქ. დედოფლისწყაროს N2 და N3 საბავშვო ბაგა-ბაღებს ეწვივნენ და პატარებს სწავლის დაწყება მიულოცეს.

როგორც გაზეთ „შირაქს" სააღმზრდელო ცენტრში განუცხადეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაგა-ბაღებში სულ 729 აღსაზრდელია რეგისტრირებული.

„წელს ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში 20 აღსაზრდელი ჩაირიცხა, ჯამში სიით 58 ბავშვია ჩვენთან. შენობაში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ აღმზრდელობითი მუშაობა წარმატებით განხორციელდეს," – აღნიშნავს სოფელ ხორნაბუჯის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი რუსუდან იაკობიშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლებს ახალი დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ირმა ჯანაშვილი გასულ კვირას წარუდგინა.

ირმა ჯანაშვილს საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის 18 წლის განმავლობაში ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრში მუშაობდა, ხოლო უკანასკნელ წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურში.

ჯანაშვილმა მაია ყოჩიაშვილი შეცვალა, რომელიც ამ პოზიციას თითქმის 10 წლის განმავლობაში იკავებდა.

ქიზიყელები „დიდმთქმელნი“ და „მეჩხუბარნი“

ძვირფასო მკითხველო, ვაგრძელებთ რუბრიკას „ეს ჩვენი ისტორიაა“. ამ რუბრიკაში ხშირად ვიყენებთ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებულ სტატიებს. მოგეხსენებათ, ჩვენი მუზეუმის ფონდში ძალიან ბევრი საინტერესო მასალა ინახება, რომელსაც დამთვალიერებელი ვერ ეცნობა. ამიტომ, ჩვენ პერიოდულად ვცდილობთ, სამზეოზე გამოვიტანოთ და მკითხველამდე მივიტანოთ ისინი. გვინდა, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სამუდამოდ დარჩეს ისტორიული ფაქტები, რომელიც მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს. დღეს ჩვენ გთავაზობთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტის დალი გაღაშვილის ***მიერ მომზადებულ წერილს, რომელიც ჩვენი განუმეორებელი კუთხის-ქიზიყის ცხოვრებას ეხება.***

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „არამედ საქვაბე ასანურამდე არს ადგილი ქიზიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, შემდგომად ქიზიყი“. ასევე ფიქრობს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გადამწერიც, რომელიც არშიაზე მიაწერს - „კამბეჩოვანი ქიზიყია“. კამბეჩოვანს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოღვაწე ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი ასე აღწერს: „ეს არის კამბისენე, სადაც ერთმანეთს ხვდებიან იბერები, ალბანელები და სომხები და რომელიც არის უწყლო და ოღროჩოღრო ქვეყანა მდინარე ალაზანთან“.

ტოპონიმი „ქიზიყი“ თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ შემოდის (XVს), რომელიც ისტორიულ წყაროებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება - „ქიზიყი“, „ქისიყი“, „ხიფიყი“.

თვით ქიზიყელებს ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსი ყოველთავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, ახოვანნი, მედგარნი, მხნენი, შემმართებელნი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, მიმყოლნი ურთიერთთა, უფრო გლეხნი, ერთგულნი“. დიდმთქმელნი არიანო, ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი, რაც ნიშნავს პირში მთქმელს. ამის საილუსტრაციოდ ორი ლეგენდა არსებობს ერეკლე II-ის ეპოქიდან: 1766 წელს პაატა ბაღაშვილის ჯანყის დროს ერეკლეს ბრძანებით ბოდბეში ქიზიყის მოსახლეობა შეყარეს. გაბრაზებული მეფე მრისხანედ მიმართავდა ქიზიყელებს. ადგა მაშინ ერთი მეომარი - გივი ბოდბელი და უთხრა: „მეფეო, ეგრე ჭოტორში რად გაუხვიე (ე.ი. მაღლა რომ წახვედიო. ჭოტორი-ნუკრიანის შემადგენელი ნაწილი, მაღალი ადგილია ქიზიყში) ათი რო შენა ბრძანო, ერთი ჩვენგანაც გაიგონეო“. საოცრად უყვარდა ერეკლეს ქიზიყელები, პირადად სცნობდა გივი ბოდბელსაც, გაიცინა მეფემ, ხელი ჩაიქნია და თბილისს გაბრუნდა.

ერთ ქიზიყელ მხედარს, ვინმე დათუკიშვილს, თბილისში ჩაეძინა და ქალაქელებმა ცხენი მოჰპარეს. მიადგა დაზარალებული მეფის სასახლეს და ხმამაღლა გინება დაიწყო, სტაცეს ხელი მცველებმა და ერეკლესთან შეიყვანეს. გადაიხარხარა მეფემ: - მართლა ქიზიყელი ხარ, ამ შუა ქალაქში რომ ჩაგძინებია, არ იცოდი, რომ ცხენს მოგპარავდნენო?- ეხ, მეფეო!- უპასუხა ქიზიყელმა-მე იმიტომ მეძინა, მეგონა შენ არ გეძინა, თორემ მეფეს, რომ სძინავს, იმ ქვეყენაში რა დამაძინებდაო! რა თქმა უნდა ეს ლეგენდებია, მაგრამ იგი კარგად ასახავს ქიზიყელების ბუნებას.

პოეტ სანდრო შანშიაშვილს ასეთი თქმულება აქვს ჩაწერილი: „რით განსხვავდება კახელი ქიზიყელისგანო?“-კახელს სანამ თავს არ დააჭრი, ბრძოლას არ შეწყვეტს, ხოლო ქიზიყელს, თავიც რომ მოაჭრა, იქამდე არ შეწყვეტს ბრძოლას, სანამ მტერს არ მოსპობსო“.

მე-16-18 საუკუნეში ქიზიყს რთული პოლიტიკური სტრუქტურა ჰქონდა. მისი ტერიტორია მოქცეული იყო ალაზანს, ლაკბის ხევს, მტკვარსა და სამუხს შორის, აქედან დასავლეთის ნაწილი სოფლები: მელაანი, ჩალაუბანი, ბაკურციხე და კარდენახი „საბატონო“ იყო. ანაგიდან აღმოსავლეთით მოკიდებული კი - „უბატონო“.

ქიზიყს განაგებდა მოურავი, იგი სამხედრო ადმინისტრატორიც იყო. იურიდიულად სამხედრო საქმეს ბოდბის ეპისკოპოსი განაგებდა, მას ებარა ქიზიყის სადროშო (სადროშო სამხედრო ოლქს ერქვა). ყველაზე უძლიერესად ბოდბის სადროშოს თვლიდნენ, რომელსაც, ფაქტობრივად, სარდლობდა ქიზიყის მოურავი. მას ეწოდებოდა სარდალ-მოურავი. „სარდალი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც ევროპულ გენერალს უტოლდება. პირველად, ერეკლე მეორემ შემოიღო ევროპული რეგულარული არმიის წოდებები. ქიზიყის მოურავს ოფიციალურად უწოდეს დივიზიის გენერალი.

სამხედრო საქმეში სრული ხელისუფალი, მოურავი, სამოქალაქო ცხოვრებაში ძალზე შეზღუდული იყო. მას არ ჰქონდა უფლება საკუთარი ყმა-მამული ჰქონოდა „თავისუფალ ქიზიყში“. ის არც საგანგებო შემოსავალს იღებდა. გასამრჯელო მას ეძლეოდა მხოლოდ ორ შემთხვევაში: სასამართლო საქმის გარჩევისას და სამხედრო ნადავლის გაყოფისას. სამხედრო ნადავლის მეხუთედი ე.წ. „ფანჯ-იაქი“ მეფეს რჩებოდა, მეშვიდედი-მოურავს, მეათედი ე.წ. „ნაათალი“ ქვრივ-ობლებს. ქიზიყის მოურავი თავისი თანამდებობისთვის ორ სოფელს იღებდა: მელაანს და ჩალაუბანს. ამ სოფლების შემოსავალი იყო მისი სარგო ანუ ხელფასი, ქიზიყში მას „საჭმელს“ ეძახდნენ. ასეთი გამოთქმაც არსებობდა ძველად - „შეირგე შენი საჭმელი, მელაან-ჩალაუბანი“. მოურავი ნიშნავდა თავის წარმომადგენელს - ნაცვალს. ნაცვალი განაგებდა სასამართლო და სამხედრო საქმეს, მაგრამ მოურავის ხელისუფლება რომ არ გაძლიერებულიყო და „მოუკრეფავში“ არ გადასულიყო, ირჩევდნენ მამასახლისს, რომელსაც „ქევხა“ ერქვა. იგი ზრუნავდა წესრიგზე, სარწყავი რუს, წისქვილის, გზების და ხიდების მდგომარეობაზე, ქვრივ-ობლებზე. მამასახლისს სასოფლო ყრილობაზე ირჩევდნენ, რომელსაც „დინგა“ ეწოდებოდა, მოგვიანებით კი - „სოფლობა“. „დინგა“ ნიშნავს „სალაყბო ადგილს“ (ეს სიტყვა მარტო ქიზიყურია). XVIII საუკუნიდან ჩნდება „უზბაშის“ ანუ ასისთავის თანამდებობა. ასისთავად ირჩევდნენ სოფლის გამორჩეულ და ავტორიტეტულ პირს.



ქიზიყის მთელი მოსახლეობა სამხედრო ვალდებული იყო. სამხედრო ვარჯიშს ქიზიყელი იწყებდა 7 წლის ასაკიდან. 12 წლიდან მოზრდილთა ჯგუფებს აყალიბებდნენ და მწვრთნელად გამოცდილ მოხუცებს უყენებდნენ. საერთოდ, ქიზიყში სამხედრო ვალდებულად 15 წლის ჭაბუკი ითვლებოდა, მაგრამ 17-18 წლამდე მათ მხოლოდ დამხმარეებად იყენებდნენ. მკაცრად იყო განსაზღვრული ასაკობრივი შეფარდება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ცალკე ჭაბუკების ან ცალკე ჭარმაგი შენაერთების ჩამოყალიბება. ძალა შეერთებული იყო გამოცდილებასთან, სიფიცხე - სიბრძნესთან. წრთვნა მთავრდებოდა საგანგებო გამოცდით. თუ ახალგაზრდა გამოცდას ვერ ჩააბარებდა, მას ლაშქრობაში არ დაუშვებდნენ. ეს კი საშინელება იყო. ასეთ პიროვნებას ახლოს არავინ ეკარებოდა, ის ცოლსაც კი ვერ შეირთავდა.

სამხედრო ცხოვრების წესმა გარდაქმნა ქიზიყელის ბუნება. ისინი მტკიცედ იყვნენ შედუღაბებული ერთმანეთთან. გამორიცხული იყო ბრძოლის დროს ღალატი, ერთიანობა იყო მათი ხსნა. სამშობლოს ღალატისათვის არსებობდა მხოლოდ ერთი სასჯელი-სიკვდილი. სიკვდილით დასჯილის ცოლ-შვილს სხვა ქართულ მხარეებში გაჰყრიდნენ ხოლმე. ბრძოლის ველიდან გაქცეულებს ასევე სასტიკი სასჯელი ელოდა-ქალის კაბას გადააცმევდნენ, ვირზე უკუღმა შესვავდნენ, ყველა თანასოფლელი თავზე ნაცარს აყრიდა და ჯოხს ურტყამდა. ანალოგიურად ექცეოდნენ ქურდობაში შემჩნეულებს. მას ნაქურდალს წამოჰკიდებდნენ და ქუჩა-ქუჩა ატარებდნენ. თუ სოფელი დამნაშავეს არ დასჯიდა, მაშინ იგი თითით საჩვენებელი ხდებოდა მთელ ქიზიყში. აქ არ არსებობდა სისხლის აღების წესი. ცალკეულ ოჯახს არ ჰქონდა უფლება საკუთარი განაჩენი გამოეტანა. საქმე ან სოფელს უნდა გადაეწყვიტა, ამ მოურავს, ან ეპისკოპოსს. თუ მტერი მოჰკლავდა ქიზიყელს, სისხლს მთელი სოფელი იღებდა. ერთი სული საქონელი რომ მოეპარათ დაღესტნელებს, მთელი ქიზიყი აღსდგებოდა შურის საძიებლად. შურისძიებას დაზარალებული სოფელი იწყებდა, მაგრამ გარე გაჭრას, განსაკუთრებით ჭარ-ბელექანზე დარტყმას, მოურავის ნებართვა სჭირდებოდა, სამარცხვინოდ ითვლებოდა, თუ სოფელი შურისძიებას არ დაიწყებდა. არსებობს ასეთი გადმოცემა: ჭოეთელი ქალი კოლიოთოში იყო გათხოვილი, ქმარი დაღესტნელებმა მოუკლეს, დააგვიანა კოლიოთომ სისხლის აღება, დატოვა ქალმა სოფელი, ჭოეთში დაბრუნდა, დაიცვეს საკუთარი შვილის ღირსება ჭოეთელებმა, შეიჭრნენ დაღესტანში, იძიეს შური. საშინელ სირცხვილში ჩავარდნენ კოლიოთელები, შეიყარა მთელი ქიზიყი, კოლიოთში გათხოვილი ყველა ქალის უკან წაყვანა დაიწყეს. შეძრწუნდა კოლიოთო, ცოტა ხანში აიყარა და ალავერდის სიახლოვეს გადასახლდა.

„მეჩხუბარნი“ არიანო ქიზიყელები, სწერს ვახუშტი ბაგრატიონი. „მეჩხუბარნი“ მეომარს ნიშნავს. ქიზიყში დადგენილი იყო მტკიცე წესი: თუ ვინმე გაიგებდა საომარ ყიჟინას, მაშინვე ყველა ხმაურის ადგილს მიაშურებდა. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდშტედტი, რომელიც რუთის მთავრობამ ერეკლე მეორესთან გამოგზავნა და რომელმაც საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა ქიზიყის შესახებ, მიუთითებს ქიზიყელთა საოცარ ჩვეულებაზე - „სადმე შემთხვევით თოფი რომ გავარდეს, მაშინვე ყველა მამაკაცი იქ მოიყრის თავსაო. ამიტომაც - აგრძელებს იგი,- ქიზიყში თოფს უნებართვოდ არ ისროდნენ. სამხედრო ვარჯიშის ან ნადირობის დროს ყველა გაფრთხილებული იყო“. ქიზიყის ლაშქარი სულ რამდენიმე საათში იკრიბებოდა, შეტევითი ლაშქრობის დროს ყველამ იცოდა შესაკრები ადგილი. თუ ჭარ-ბელაქნისთვის უნდა დაერტყათ, ხირსის მონასტერში ცხადდებოდნენ, თუ განჯაზე აპირებდნენ-მაღაროში იყრიდნენ თავს.

მე-18 საუკუნის საერთო დაცემის ფონზე, ქიზიყი ყველაზე უკეთესად გამოიყურებოდა.

იტალიელი მოგზაური მონსენიორ ლეონე მიუთითებდა: „მიუხედავად იმისა, რომ ქიზიყი ყველაზე ახლოსაა დაღესტანთან, იგი ყველაზე ნაკლებადაა დარბეული. ლეკებს ურჩევიათ შორეულ იმერეთში წავიდნენ ნადავლის საშოვნელად, ვიდრე საქმე იქონიონ ასეთ შეუპოვარ მეზობლებთან. თითქმის არცერთი დარტყმა ქიზიყზე არ შერჩათ დაუსჯელად დაღესტნელებს“. თავის ჩანაწერებში გიულდენშტედტი წერს: „ქიზიყელები შეჩვეულები არიან ლეკებთან ჩხუბს და არავითარ შიშს არ გრძნობენ. ჩემი იქ ყოფნის დროს განაგრძობს იგი-ქიზიყელებს წაერთმიათ ლეკებისთვის 20 000 სული ცხვარი და არხეინად იყოფდნენო. კიდევ ერთი თავისებურება შეუმჩნევია გერმანელ მოგზაურს. მისი თქმით აქ ძალზე ცოტაა ციხე-სიმაგრეები. ქიზიყელებს არ უყვართ ჩაკეტილი, მთებზე აშოტილი ციხე-დარბაზები, ზოგჯერ თვითონვე ანგრევდნენ, რადგან მათ ეშინოდათ, რომ ასეთი ბასტიონები ფეოდალებს ან მომხდურ მტერს არ გამოეყენებინათ. მათი ცხოვრების წესი თვითონ იყო სამხედრო ყაიდისა, ბრძოლის დროს თვითონვე ქმნიდნენ ცოცხალ ღობეებს. ამით ისინი წააგავდნენ დონელ კაზაკებს“.

1735 წელს დაღესტან-ჭარ-ბელაქნის შეერთებული ლაშქარი თავს დაესხა ქიზიყს. ჭაბუკმა ერეკლემ „ქუდზე კაციო“ მოითხოვა (ამ დროს იგი 15 წლის იყო). ჯერ არ უნდოდათ ქიზიყელებს მისი ბრძოლაში ჩაბმა, შიშობდნენ, „ძალზე ახალგაზრდაა ბატონიშვილი, ვაი თუ მოგვიკლანო“. ნეიშნის ველზე, ჭიან ტყესთან, შეხვდნენ ქიზიყელები დაღესტნის ლაშქარს (ნეიშნის მინდორი და ჭიანი ტყე მდებარეობს ქიზიყის ჩრდილო-დასავლეთით, ანაგის, ვაქირის და საქობოს ბოლოს. ტოპონიმი ნეიშნის მინდორი აღარ არსებობს).

ქიზიყელებმა ჯერ უნდოდ შეხედეს ბატონიშვილს. გადმოიღო ერეკლემ თოფი, ძირს დაამხო ლეკთა ბელადი და შემდეგ ხმალზე გაიკრა ხელი. რა იხილეს ერეკლეს მოქმედება, „მორთეს ყივილი“ კახთა და ქიზიყელთა, ისეთი ძალით მიესივნენ, ერთიც არ გაუშვიათ ცოცხალი, სწორედ ნეიშნის ველზე დაიწყო ერეკლე II-ის სახელოვანი გმირული გზა. მაშინ უწოდეს „პატარა კახი“. ეს ქიზიყური სახელია. „პატარა კახი“ მას მცირე ასაკის გამო შეარქვეს და არა ტანმორჩილობის გამო. ამ ბრძოლიდან ორ წლის შემდეგ ერეკლე II სპარსეთში გაიწვიეს და ნადირ-შაჰის არმიასთან ერთად მახვილით გაიარა ავღანეთი, ინდოეთი, სინდეთი. მოგვიანებით ერეკლე მეფე მთელი კავკასიის პოლიტიკური ლიდერიც გახდა, მაგრამ პირველი საბრძოლო ნათლობის ხიბლი იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდ სარდალს მამაცი ქიზიყელებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია.

ქიზიყელების დიდი იმედი ჰქონდა ერეკლეს II კრწანისის ბრძოლის წინ. 5000 ქიზიყელს ელოდა მეფე, აღა-მაჰმად-ხანი უკვე დედაქალაქის კარიბჭეს მოსდგომოდა, ლაშქარი კი არ ჩანდა, 3000 მეომარი ძლივს შეგროვდა. 2000 კაცით იმერეთის მეფე სოლომონ II ჩამოვიდა, ერეკლეს ეახლნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთის რაზმიც, ამაოდ ელოდა მოხუცი მეფე ქიზიყელებს. 5000-ის ნაცვლად 200 კაცი ჩამოიყვანა ზაქარია ანდრონიკაშვილმა. 5000 კი გიორგი XII ზაქიჭამიას სიღნაღში ჰყავდა გამოკეტილი. მოგვიანებით გიორგი XII ასე ხსნიდა დანაშაულებრივ დაგვიანებას. „ქიზიყელები ვერ დაიძრნენ იმიტომ, რომ 20 000 დაღესტნელი იდგა ჭარ-ბელაქანში და დაუცველ ქიზიყს ააოხრებდნენო.“

– „შე დალოცვილო, – უთხრა ერთმა ქიზიყელმა ზაქიჭამიას,- როცა თავში გცემენ, ფეხებზე რას იყურებიო”.

დასასრულს კვლავ ვახუშტი ბაგრატიონს მოვუსმინოთ: „ქიზიყელები ამაყი ხალხია, ცოტაოდენს წყენასაც არავის არ დაუთმობენ და არავის ადვილად არ დაებრიყვებიან. დამოუკიდებლობა მათ ძლიერ უყვართ. სიტყვა-პასუხში, სიარულსა და მიხვრა-მოხვრაში ქიზიყელებს აშკარად ეტყობათ, რომ ბატონყმობის უღელი კისერზე არა სდგომიათ და არ დაუჩაგრავს. თითოეული ქიზიყელი სიამაყით გეტყვით,- ჩვენ ვინ გაგვეჯიბრება, ყოველთვის უბატონონი ვიყავით და ვიქნებით კიდეცო“.

* * *

ეს ჩვენი წარსულია, რომელიც უნდა ვიცოდეთ და რომელზეც უნდა დავაშენოთ დღევანდელობა იმ ზნეკეთილ გენეტიკასა და ზნე-ჩვეულებებზე, რომელსაც ჩვენი მამა-პაპა ატარებდა და რომელსაც დრო-ჟამი ვერ ერევა. „დიდმთქმელობა“ და „მეჩხუბარობა“, ურთიერთგამტანობა და ღირსების შენარჩუნება, გონიერება და წინდახედულება ყველა ეპოქას ერგება. მას ცოდნა-განათლებას თუ დავუმატებთ, უკეთესი იქნება. წარმატებები ქიზიყს და ქიზიყელებს.

მასალის საგაზეთო ვარიანტზე იმუშავა
ნაირა გორაშვილმა

„განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოტივაციაა“

წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლა 204 მეთორმეტეკლასელმა დაამთავრა. ოფიციალური მონაცემებით, აქედან ზაფხულში მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 113 აბიტურიენტი. გამოცდების შედეგების მიხედვით, ზღვარი ვერ გადალახა, ანუ ჩაიჭრა 14 აბიტურიენტი და სტუდენტი გახდა 99 მათგანი. „შირაქის“ ინფორმაციით, 99 პირველკურსელიდან სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა მხოლოდ 19-მა. არადა, წლევანდელ გამოშვებაში 29 ოქროს, 6 კი ვერცხლის მედალოსანია.

ყველაზე მეტი, 5 აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებში ზემო ქედის №1 სკოლიდან ჩაიჭრა, სამი აბიტურიენტი სტუდენტი ვერ გახდა სოფელ ფიროსმანიდან, ორი ქვემო ქედიდან. თითო აბიტურიენტი ჩაიჭრა დედოფლისწყაროს №1 სკოლიდან, ხორნაბუჯის, გამარჯვებისა და ზემო ქედის №2 სკოლიდან.

საუკეთესო მაღალქულიანი შედეგი აჩვენა, ანუ 100%-იანი გრანტი წელს მხოლოდ ორმა დედოფლისწყაროელმა მიიღო, 70% ხუთმა, ხოლო 50%-იანი თანადაფინანსება 12-მა პირველკურსელმა.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა ერთადერთია ჩვენს რაიონში, რომლის კურსდამთავრებულებმაც ასპროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსების მიღება შეძლეს. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ანა ფიროსმანაშვილი და ანა ჩუთლაშვილი თანაკლასელები არიან და ორივემ XIIა კლასი დაამთავრა. გაზეთი „შირაქი“ ყველაზე წარმატებულ ამ ორ გოგონას გაგაცნობთ:

ანა ჩუთლაშვილი: „როგორც ყველა აბიტურიენტის ოცნებაა, რა თქმა უნდა, ასევე ჩემი მიზანიც 100%-იანი დაფინანსების მოპოვება იყო. ამ გრანტმა გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტის გადასახადი მნიშვნელოვნად შემიმცირა, დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში, მომცა სწავლის მეტი მოტივაცია და რაც მთავარია, შრომა დამიფასა. ზოგადად უნდა ითქვას, რომ აბიტურიენტობის პერიოდი ჩემთვის რთული და სტრესული ნამდვილად არ ყოფილა. ყოველთვის მქონდა წინასწარ გაწერილი გეგმა, თუ რომელ დღეს რას ვიმეცადინებდი. ასევე, რაც ყველაზე მთავარია, დროს სწორად ვანაწილებდი, შედეგად კი ყველაფრისთვის მრჩებოდა დრო. არ ვუჩიოდი თავისუფალი დროისა და დასვენებისა თუ გართობის დეფიციტს. როგორც იცით, სახელმწიფო გრანტი მხოლოდ 2250 ლარის ოდენობითაა, ხოლო ჩემი უნივერსიტეტის გადასახადი წელიწადში 6100 ლარია. შესაბამისად, ასპროცენტიანი გრანტის მიუხედავად, მაინც მომიწევს თანადაფინანსება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამავდროულად მოვიპოვე ამავე უნივერსიტეტის შიდა გრანტიც, 3100 ლარის ოდენობით. საერთო ჯამში, წლიურად მიფინანსდება 5350 ლარი სწავლის გადასახადი და ასე იქნება 4 წლის განმავლობაში. კავკასიის უნივერსიტეტი, სადაც მე დავიწყე სწავლა, სტუდენტებს, რომელთაც აქვთ 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება, საშუალებას აძლევს ავტომატურად, დამატებით მოიპოვოს შიდა გრანტიც. დღევანდელ რეალობაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩემს შემთხვევაში წლიური გადასახადის უდიდეს ნაწილს ორი გრანტი ფარავს და მე მხოლოდ მცირე ნაწილის გადახდა მომიწევს.

ანა ფიროსმანაშვილი: „ჩემთვის 100% გრანტის მოპოვება არის იმ შრომის დაფასება, რომელიც არამხოლოდ მე, არამედ ჩემმა ოჯახმა და საუკეთესო მასწავლებლებმა ჩავდეთ. ის, რომ ამხელა რაიონიდან მხოლოდ ორმა მივიღეთ ეს შედეგი, ეს ჩემთვისაც და ანასთვისაც უდიდესი ბედნიერება იყო და ასევე, რა თქმა უნდა, სიამაყის გრძნობაც თან ახლავს ამ სიხარულს. ასევე მოვიპოვე დამატებით, შიდა საუნივერსიტეტო გრანტიც. სკოლიდან ვერცერთ მასწავლებელს კონკრეტულად ვერ გამოვყოფ, რადგან ჩემს ამ შედეგში ყველამ შეიტანა თავისი წვლილი.

— რა მსხვერპლს მოითხოვს ეს შედეგი?

– მრავალი უძილო ღამე, უდიდესი შრომა და ბევრ სიამოვნებაზე უარის თქმა მომიწია იმისათვის რომ საბოლოო ჯამში მიზნისთვის მიმეღწია, მაღალი ქულა ამეღო და ამ შედეგამდე მივსულიყავი.

ანა ჩუთლაშვილი: „ხანდახან ადამიანს ცხოვრებაში გარკვეულ რაღაცებზე უარის თქმა უწევს ხოლმე. ჩვენ ძირითადად რუტინულად ვცხოვრობთ და იმ ადამიანისთვის, რომელიც არ არის მიჩვეული ერთი და იგივე ყოველდღიურობას, შეიძლება თავიდან ცოტა გაუჭირდეს.

— პროფესიული არჩევანი როგორ გააკეთეთ და რატომ?

–კავკასიის უნივერსიტეტში მოვხვდი, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე. დიპლომატია ჯერ კიდევ 2 წლის წინ ჩავიფიქრე და ჩემს გადაწყვეტილებას ახლა არც ერთი წუთით არ ვნანობ. ვფიქრობ, ეს ის სფეროა, სადაც ჩემს თავს ვხედავ მომავალში. ძალიან მომწონს ელჩებისა და დიპლომატების საქმიანობა, ამიტომაც არჩევანი ამ პროფესიაზე შევაჩერე.

ანა ფიროსმანაშვილი: „კავკასიის უნივერსიტეტში, პიარსა და კომუნიკაციის სპეციალობაზე ჩავირიცხე. მახსოვს, ბავშვობიდან მინდოდა ამ პროფესიას გავყოლოდი. ვფიქრობ, რომ ეს სფერო კარგად დამეხმარება პიროვნულ და კარიერულ განვითარებაში. მიყვარს ადამიანებთან კომუნიკაცია, ალბათ ჩემი საბოლოო არჩევანიც ამას უკავშირდება. დამეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ პოპულარული და ასევე მაღალანაზღაურებადი პროფესიაა.

— როგორ ხედავს თქვენი თაობა, მხოლოდ სკოლას შეუძლია კარგი შედეგის დასადებად საჭირო ცოდნა მოგცეთ, თუ დამატებითი მომზადების გარშე სკოლა ამას ვერ ახერხებს?

– საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა, რა თქმა უნდა, საკმარისია, მაგრამ რეპეტიტორები მაქსიმალურად ცდილობენ ამ ცოდნას თავი მოუყარონ და უკეთ მოგამზადონ, რაც გამოცდაზე გასასვლელად ძალიან მნიშვნელოვანია.

ანა ჩუთლაშვილი: დამეთანხმებით, დღევანდელი რეალობა ისეთია, რომ ამჟამად საქართველოში განათლების სისტემა არ არის იმ დონეზე განვითარებული, მხოლოდ სკოლისგან მიღებული ცოდნა საკმარისი იყოს აბიტურიენტისთვის უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისიც, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ დამატებითი მომზადების გარეშე უმაღლესი ქულის აღება და კარგი შედეგის დადება რთულია.

— რომელი ქვეყანა გხიბლავთ, სად ისურვებდით მოგზაურობას?

– ევროპის ნებისმიერი ქვეყანა მომწონს, თუმცა, გერმანია გამორჩეულად, რადგან ეს ქვეყანა მართლაც რომ საათივით აწყობილი, გამართული და გამორჩეულია. არქიტექტურას და ქალაქებს თუ მკითხავთ, დაუფიქრებლად აღმოსავლეთის ქვეყნებს გიპასუხებთ... აღმოსავლეთის ქვეყნებს გააჩნია მრავალწლიანი ისტორია და კულტურა, რაც ძალიან მხიბლავს და შთამბეჭდავად მიმაჩნია. ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ეგვიპტური ცივილიზაცია. გიზას პირამიდებმა კაცობრიობაში წარუშლელი კვალი დატოვა და არქიტექტურულადაც ერთ-ერთი გამორჩეული და ბრწყინვალე ნაგებობაა.

ანა ფიროსმანაშვილი: „ჩემი საყვარელი ქვეყანა ამერიკაა, რომელიც საკმაოდ განვითარებილია და ჩემი აზრით, დამეხმარება საკუთარი თავის წარმოჩენაში. დიდი სიამოვნებით გავემგზავრებოდი და დავათვალიერებდი, თუ კი მომეცემა ამის საშუალება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წლით დავრჩებოდი. ძალიან მომწონს იტალია, აუცილებლად წავალ ახლო მომავალში. იტალიას აქვს უამრავი სფერო, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში. ეს იყო მოძრაობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, როგორიცაა რენესანსი. იტალიის ისტორია საკმაოდ ვრცელია, რაც მას საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენს. ამიტომ ჩემთვის იტალია გამორჩეული ქვეყანაა.

— თქვენი თაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები რა არის, როგორი ახალგაზრდობა მოდის?

– ვფიქრობ, რომ ძალიან განათლებული და საკმაოდ მიზანდასახული ახალგაზრდობა მოდის, რაც იმედისმომცემია.

ანა ჩუთლაშვილი: ყოველწლიურად უფრო და უფრო მცირდება განათლების დონე, რაც ალბათ პანდემიამ განაპირობა. ჩემი აზრით არავინ არ იღებს დიდად მონაწილეობას პროექტებში. პირადად მე ვიყავი საქართველოს ახალგაზრდული იდეის დედოფლისწყაროს კომიტეტის მენეჯერი, გვქონდა უამრავი პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გამოთქვა პროექტის დაწერის სურვილი. არ ერთვებიან სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობებში, ყოველ შემთხვევაში მე ამას ვხედავ დედოფლისწყაროში და სხვაგან არ ვიცი. რეგიონებში ბევრად რთულია, რადგან არ გვაქვს ის შესაძლებლობები, რაც დიდ ქალაქებშია. ფიზიკურად არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია, სადაც შეგეძლება შენი იდეების გაჟღერება და შემდეგ განხორციელება. ახალგაზრდებისთვის არაფერი არ არსებობს, ელემენტარული შეკრების ადგილიც კი. განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოტივაციაა, რომელსაც, სამწუხაროდ, არავინ არ გვაძლევს.

P.S. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წელს 100%-იანი გრანტი 1 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო. სახელმწიფო გრანტი, ჯამში, 6 550-მდე გამოსაცდელმა მოიპოვა. 2022 წელს სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 32 100-ზე მეტმა გამოსაცდელმა, რაც რეგისტრირებულ აბიტურიენტთა 77%-ზე მეტს შეადგენს. სახელმწიფო გრანტი მოიპოვა 6 550-მდე გამოსაცდელმა, რომელთაგან 70%-იანი — 1 500-მდე; 50%-იანი გრანტი კი — 4 000-ზე მეტმა გამოსაცდელმა. აბიტურიენტთა პირველი არჩევანის მიხედვით, გასული წლის მსგავსად, ლიდერობს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: სამართალი, ფსიქოლოგია, ჰუმანიტარული მიმართულებები, ბიზნესის ადმინისტრირება და ჯანდაცვის მიმართულება.

ილია მარტყოფლიშვილი:

ნუშის, ფისტას და მარწყვის წარმოება არხილოსკალოში – პროდუქცია ადგილზე იყიდება

მცირე მეწარმე შოთა მნათობიშვილი, რომელიც დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში მემარცვლეობით, მესაქონლეობითა და მევენახეობით არის დაკავებული, ნუშის, ფისტას და მარწყვის ბაღებსაც ფლობს. ის პროდუქტის ექსპორტს და ნუშის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას გეგმავს. წელს მეწარმეს ხორბალი 300 ჰექტარზე, ფისტას და ნუშის ბაღები 120 ჰექტარზე, მარწყვი - 3 ჰექტარზე, ვენახი კი 20 ჰექტარზე აქვს გაშენებული.

როგორც შოთა მნათობიშვილი „შირაქთან“ აღნიშნავს, ამ დროისთვის ყველა კულტურის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს, თუმცა, მისი შეფასებით, მსოფლიოში ნუშზე და ფისტაზე მაღალი მოთხოვნის გამო, ექსპორტს ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მიმართულებით დაიწყებს. რაც შეეხება ნუშის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების იდეას, მენარმის თქმით, ეს შემოსავლის მოცულობას გაორმაგებს და საწარმოს ხარჯზე ნედლეულის ჩაბარებას ადგილობრივი ფერმერებისგანაც დაიწყებენ.

„მრავალფეროვანი ბაღი მაქვს, რომელიც მარცვლეულ კულტურას, ვენახებს, ნუშისა და ფისტას ბაღებს აერთიანებს. მაქვს ხეხილიც და თითოეული პროდუქტის რეალიზაციას ადგილზე ვახდენ. ამ კულტურებს შორის ფისტა სიახლეა. ძალიან პერსპექტიული და შემოსავლიანი კულტურაა, ამასთან, მსოფლიოში ფისტას და ნუშის დეფიციტია, შესაბამისად, ექსპორტის ნებისმიერი მიმართულებით განხორციელება შეიძლება. ვფიქრობ, ფერმერები ამ მიმართულებით უნდა წავიდეთ და ის პროდუქტი ვაწარმოოთ, რაც ყველგან არ მოდის და დეფიციტშია.

რაც შეეხება გეგმებს, ექსპორტისთვის მზადებას ვიწყებთ. ჯერ კონკრეტული მიმართულება შერჩეული არ არის, თუმცა, ნუში და ფისტა იმდენად დეფიციტურია, რომ მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იქნება. დიდი ალბათობით, საექსპორტოდ ევროპასა და მეზობელ ქვეყნებს შევარჩევთ. გარდა ამისა, ნუშის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობასაც ვაპირებთ. ეს შემოსავალს გაგვიზრდის და ფერმერებისგან ნედლეულის ჩაბარებასაც შევძლებთ“ - ამბობს მეწარმე.

პროექტის ჯამური ღირებულება, რომელიც რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს, 5 000 000 ლარია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეწარმემ ბაღების გაშენება ბანკის მხარდაჭერით შეძლო. ბანკის ინვესტიციამ ჯამში 2 600 000 ლარი შეადგინა. შოთა მნათობიშვილი განმარტავს, რომ ბანკმა რეგიონში აგრო მიმართულების პროექტების დაფინანსების ფარგლებში მხარდაჭერა მეწარმესაც გაუწია და მასზე მორგებული პირობები შესთავაზა.

„ბანკი ყველა ეტაპზე მხარში მედგა. პირველად მათი დაფინანსებით 20 ჰექატრზე ვენახი გავაშენე, მოსავლის აღების შემდგომ კი ვალდებულება უპრობლემოდ დავფარე. ამასთან, ბანკის დახმარებით ახალი მიმართულებაც ავითვისე და ესპანური ნუშის ბაღები გავაშენე, კრედიტის დაფარვა 5 წლიან პერიოდში მოხდება,“ - აღნიშნავს მეწარმე.

ცნობისთვის: დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე მეურნეობა სეზონურად 60-მდე ადამიანს ასაქმებს, ყოველდღიურად კი ბაღებში 20 ადამიანი მუშაობს.

თხილთან ერთად ბოლო წლებში ქართულ ბაზარზე ფეხის მოკიდება სხვა კაკლოვანმა კულტურებმაც დაიწყო. ასეთია მაგალითად ნუში, რომლის ბაღების გაშენებაც ქვეყანაში სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო,თუმცა, გაშენებული ფართობებით ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ.

4 მილიონიანი ინვესტიცია დედოფლისწყაროში ნედლი რძის საწარმოებლად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 4 მილიონი ლარის ინვესტიციით ნედლი რძის პროდუქტების ახალი საწარმო „რძის ქალაქი“ ამოქმედდა.

კომპანიის დირექტორი თამარ მოდებაძე ყვება, რომ ოჯახი დედოფლისწყაროში რძის პროდუქტების წარმოებას წლების განმავლობაში მისდევდა, თუმცა, ბოლო პერიოდში საქმიანობის ბიზნესად გადაქცევა გადაწყვიტეს და ორი წლის წინ საწარმოს პროექტი შეიმუშავეს. იდეა **USAID**-ის, FAO-ს, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ გრანტებით დაფინანსდა და შემდეგ პირადი ფინანსური ინვესტიციაც დაემატა, რამაც ჯამში 4 მილიონი ლარი შეადგინა. მოდებაძეების კომპანიამ „რძის ქალაქის“ სახელით, ოპერირება გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო.

შედეგად კომპანია საწარმოსთან ერთად, დღეს დედაქალაქში ორ, ხოლო დედოფლისწყაროში ერთ მაღაზიას მართავს. კომპანია რეგიონში, ფერმერებიდან უმაღლესი ხარისხის ნედლ რძეს იბარებს და 12-მდე დასახელების რძის პროდუქტებს აწარმოებს.

„საწარმოს საწარმოო სიმძლავრე თვეში 20 ტონამდე რძის გადამუშავებაა. 20 ტონა ნედლი რძე რეგიონისთვის ძალიან დიდი მაჩვენებელია, ამიტომ ახლა ჩვენთან მხოლოდ 5 ტონის გადამუშავება ხდება. შედეგად ამ ეტაპზე 10-12 დასახელების პროდუქტს ვაწარმოებთ - რამდენიმე სახეობის ყველი, ხაჭო, კარაქი და ა.შ. საწარმო წარმოების მაღალ სეზონზე დაახლოებით 20 ადამიანს ასაქმებს, ხოლო დაბალ სეზონზე 15 სამუშაო ადგილს ქმნის“, - ამბობს თამარ მოდებაძე.

კომპანიის ხელმძღვანელის ინფორმაციით, მათი მართვის ქვეშ არსებული ბრენდული მაღაზიების გარდა, „რძის ქალაქი“ მოთხოვნის შემთხვევაში რძის პროდუქტებით საკონდიტროებსაც აწარმოებს. ახლადამოქმედებული რძის პროდუქტების წარმოება ბაზარზე თავის დამკვიდრებას ხელმისაწვდომობითა და მაღალი ხარისხის პროდუქტებით ცდილობს. კომპანიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მათი პროდუქტები სრულად ნედლი რძისგან მზადდება და ბაზარზე გამოჩენიდან დღემდე მომხმარებლის მხრიდან ინტერესი და მოთხოვნა მათ პროდუქტზე მაღალია. ამან კი კომპანიას „რძის ქალაქის“ მაღაზიათა ქსელის გაფართოებისკენ უბიძგა.

„მოთხოვნა ძალიან დიდია, ამიტომ კომპანია დედაქალაქის მასშტაბით „რძის ქალაქის“ მაღაზიების გახსნას დიდ დიღომსა და გლდანში გეგმავს. დეტალებზე ჯერ ვერ ვსაუბრობთ, რადგან საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს“, - აღნიშნა „რძის ქალაქის“ ხელმძღვანელმა.

რატომ ძვირდება ყველი?

საქართველოში რძის პროდუქტები რეკორდულად გაძვირდა. ფასები გაიზარდა ყველზე, რძესა და რძის პროდუქტებზე. ოფიციალური სტატისტიკით, აგვისტოში წლიურად რძის ღირებულება 19.5%-ით გაიზარდა. იმერული ყველის ფასი 23.6%-ით, მაწონი 22%-ით, ხაჭო და არაჟანი კი, 20% და 13%-ით გაძვირდა. ამის შესახებ კომპანია „შირაქის“ დამფუძნებელმა, ნიკოლოზ ბენიაიძემ ისაუბრა. ის იმ მიზეზებს განმარტავს, რამაც ბენიაიძის თქმით, რძის პროდუქტების ფასის მომატება გამოიწვია.

„ზოგადად, ყოველ წელს, შემოდგომაზე ფასები იზრდება და ეს ძირითადად ამ დროისთვის დამატებითი საკვების მიწოდებას უკავშირდება. მაგრამ, მიმდინარე წელს, წინა წლებთან შედარებით ფასები მაინც განსაკუთრებით არის გაზრდილი, რადგან არსებობს ბევრი სხვადასხვა მიზეზი. მაგალითისთვის, ყველი მზადდება ნედლი რძისგან, თავის მხრივ, რძის მწარმოებლები რძეს იბარებენ ფერმერებისგან. ზაფხულში, 3 თვე კახეთსა და ქვემო ქართლში იყო გვალვები, არ იყო ბალახი, შესაბამისად, შემცირდა ნედლი რძის ოდენობა. რძის წარმოება ძალიან არის შემცირებული.

ფერმერებს ძალიან გაუძვირდათ საქონლის კვება. ამასთან, ყოველწლიურად, მეწველი ძროხის რაოდენობა იკლებს. ინდუსტრიული ფერმებიც არ იზრდება და ფერმები არ იხსნება ქვეყანაში. თავად პროდუქტი არის დეფიციტური. ფერმერები ვერ იღებენ სათანადო რაოდენობის თანხას იქიდან გამომდინარე, რომ ეს საქმიანობა გახდეს რენტაბელური და მეტი ადამიანი ჩაერთოს ამ საქმიანობაში.

გარდა ამისა, გაძვირდა მუშახელი, ტექნიკის მომსახურება, საწვავი... ამ პერიოდიდან იწყება დამატებითი კვების მიწოდება და ფერმერებს კიდევ უფრო უძვირდებათ ნედლი რძის მოყვანა“, - განაცხადა ნიკოლოზ ბენიაძემ.

ცხვრის ექსპორტში პრობლემებია

ცხვრის რეალიზაციის პრობლემებზე, მის ფასსა და უცხოეთიდან არსებულ მოთხოვნებზე მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი გვესაუბრა:

- „დაახლოებით 40 000 სულამდეა ჯამში რეალიზებული წლევანდელი (ის რაც იანვარ-თებერვალში დაიბადა) სულადობიდან!!! (რა თქმა უნდა, სტატისტიკით მეტიც არის, მაგრამ ჩათვალეთ, რომ მაისამდე რაც არის ექსპორტი, ეგ სულ წინა წლის ცხვარია)

- დოლარი და ლარის კურსიდან გამომდინარე ფასი მაღალი ვერ იქნება!

- ფასების დაცემას ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი: ევროპაში დიდი გვალვები (რაც ორი კვირის წინ პირადად ვნახე) და რუმინეთში მაქსიმალურად იშორებენ თავიდან ცხვარს და FOB ზე დაახლოებით 2.9$ ში ყიდიან კილოგრამს ანუ 35 კილოგრამიანი 101.5$ ყველა საბუთით და ანალიზით გემზე დატვირთული კონსტანტას პორტში.

- ბოლო ორ თვეში ლამის 1 მილიონამდე ცხვარი შევიდა სუდანიდან საუდის არაბეთში, რამაც ბაზრის გაჯერება გამოიწვია.

– რატომაა ეს სიტუაცია საგანგაშო ჩვენთვის?

- აგერ უკვე 2-3 კვირაში ცხვარი უნდა დაიძრას ზაფხულის საძოვრებიდან ბარში. ბარში კი ძალიან დიდი გვალვაა, ბალახი გადამხმარია და საძოვრები მწირია.

როცა მეცხვარეს ჰყავს პირობითად 1000 სული დედა ცხვარი და ის ბატკანს ვერ გაყიდის, მაშინ დაახლოებით 600-700 სულით მეტი ცხვრით ბრუნდება ზამთრის ისედაც მწირ საძოვარზე, რომელიც იმ გამოსაზამთრებელ 1000 სარეპროდუქციო დედა ცხვარს შეუჭამს საძოვარს და ზამთარი თუ დიდი აღმოჩნდა, განსაკუთრებულად გაუჭირდება და საკვების სიმწირის გამო დაეხოცება ცხვარიც და ბატკანიც...

- რა უნდა გაკეთდეს?

- არ ვიცი!... მართლა არ ვიცი. გარდა იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენი დიპლომატიური და ეკონომიკური წარმომადგენლობები გააქტიურდნენ, ლოჯისტიკის პრობლემების მოგვარება და შესაბამისად, ფასების კორექტირებაც... სამწუხაროდ მოგვიწევს ფასების დაკლებაც, რაც მეორე მხრივ, პრაქტიკულად ძალიან რთულია, რადგან გაზრდილი ხარჯებიდან გამომდინარე (მწყემსების ხელფასები, საწვავები და სხვა) ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს პრაქტიკულად დარგს... ისედაც არა ვწყვეტდით ვარსკვლავებს, მაგრამ ამის გარეშე ,ზამთარი ძალიან რთული იქნება.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

სამუხის ველზე ნადირობა აიკრძალა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სამუხის ველზე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა დროებით აიკრძალა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიაწოდეს. სამინისტრომ გადაწყვეტილება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ქურციკის/ჯეირანის რეინტროდუქციის პროექტის წარმატებულად განხორციელების მიზნით მიიღო.

„საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ქურციკის/ჯეირანის რეინტროდუქციის პროექტის წარმატებულად განხორციელების მიზნით, 2023 წლის 1 მარტამდე, აიკრძალოს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვარსა და საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს შორის მოქცეულ სამუხის ველზე, განსაზღვრული რუკისა და დანართი N2-ით განსაზღვრული კოორდინატების შესაბამისად,“ - ვკითხულობთ განცხადებაში.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სამინისტრომ გათვალისწინებული აკრძალვის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაავალა. ამ ბრძანების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს დაევალა.

გაზეთი „შირაქი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენელს დედოფლისწყაროში ვაჟა ყოჩიაშვილს ესაუბრა:

„უკვე რამდენიმე წელია, ნადირობის სეზონის გახსნისას მინისტრის სპეციალური ბრძანებით იკრძალება ამ ტერიტორიაზე გადამფრენ ფრინველზე ნადირობა. ამის საჭიროება არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ სამუხის ველი ჯერჯერობით არ არის დაცული ტერიტორია და შესაბამისად, იქ არ მოქმედებს ისეთივე დაცვის რეჟიმი და აკრძალვები, რაც დაცული ტერიტორიებისთვისაა დამახასიათებელი. მოგეხსენებათ, სამუხის ველი ამჟამად ქურციკისთვის ერთადერთი საბინადრო არეალია და სწორედ აქ მიმდინარეობს პოპულაციის აღდგენის პროცესი. პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყოს მშვიდი და უსაფრთხო გარემო.

საქართველოს კანონმდებლობით ნადირობა დაშვებულია გადამფრენ ფრინველთა სახეობებზე. (გამონაკლისია სამონადირეო მეურნეობები, სადაც ფრინველთა და ცხოველთა ადგილობრივ სახეობებზეც შესაძლებელია ნადირობა). მიუხედავად იმისა, რომ სამუხის ველზე თითქმის არ გვხვდება სანადირო სახეობები, დაცვის რეჟიმის არარსებობის გამო, ნებისმიერ ადამიანს სრულიად კანონიერად შეეძლო ტერიტორიაზე სანადიროდ გადაადგილება გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მოტივით. (თუ არ ჩავთვლით დაცული ტერიტორიასა და საზღვრის ხაზთან არსებულ ბუფერულ ზონებს, სადაც ისედაც აკრძალულია ნადირობა).

ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია ამხელა ტერიტორიაზე თითოეული ადამიანის ქცევის გაკონტროლება, თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოიქცევა, შესაბამისად იქმნებოდა მნიშვნელოვანი რისკები ქურციკების პოპულაციისთვის. გარდა ამისა, თუნდაც მონადირეებს მხოლოდ გადამფრენ ფრინველზე ენადირათ, ტერიტორიაზე არსებულ მშვიდ გარემოს მნიშვნელოვნად აზიანებს თოფის სროლის ხმა, რაც ქმნის სტრესულ ფონს ქურციკებისთვის. ამ დროს იცვლება მათი ქცევები და ცდილობენ სიმშვიდე მცირე ხეობებსა და ბუჩქნარში დამალვით იპოვნონ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მტაცებლის მიერ ქურციკზე თავდასხმის შანსს.

იქიდან გამომდინარე, რომ პოპულაცია ჯერ კიდევ მოწყვლადია და მასზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, თითოეული ინდივიდი მნიშვნელოვანია მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბებისთვის და ყოველწლიურად ამ ტერიტორიაზე ნადირობის აკრძალვაც, სწორედ ქურციკების საბინადრო არეალში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას ემსახურება.

აღნიშნული ბრძანებით, სამუხის ველზე ნებისმიერ სახეობაზე ნადირობა არის კანონდარღვევა და იქ არსებული რეჟიმის დაცვაში ჩართული არიან როგორც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ასევე სასაზღვრო პოლიციისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები. ამჟამად, ქურციკების პოპულაციისა და მისი საბინადრო გარემოს უკეთ დასაცავად, მიმდინარეობს სამუხის ველისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების პროცედურები. მომზადებულია კანონპროექტი და უკვე მიმდინარეობს მისი განხილვა პარლამენტში,“ - აღნიშნავს ვაჟა ყოჩიაშვილი.

სამინისტროში აღნიშნავენ, რომ გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობას (მის. ქ.თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ილია მარტყოფლიშვილი

უბედურ შემთხვევას დეპუტატი ემსხვერპლა

55 წლის ასაკში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ემზარ ჯანაშვილი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

19 სექტემბერს ქვეითად მოსიარულე მამაკაცს ავტომანქანა დაეჯახა, რის შემდეგაც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჯანაშვილი ქირურგიის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანა. შემთხვევა თბილისში მოხდა. რამდენიმე დღის განმავლობაში რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობდნენ, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გასული წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ემზარ ჯანაშვილი ნაცმოძრაობის სიის მეშვიდე ნომერი იყო და სოფელ არბოშიკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყრიდა კენჭს. 2014 წელს იყო მერობის კანდიდატიც.

ემზარ ჯანაშვილი 2012 წლამდე დედოფლისწყაროს გამგეობაში მრავალი წლის განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. ხელისუფლების ცვლილებამდე ის დედოფლისწყაროს გამგებლის პირველი მოადგილის პოსტს იკავებდა.

გაზეთი „შირაქი“ სამძიმარს უცხადებს „ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაცია“, გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ხსოვნა

ლევან დავითაშვილი

6 წელი უშენოდ. ისევ მოვიდა 27 სექტემბერი ტკივილითა და ცრემლით. 2016 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს, ტრაგიკულად დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე 34 წლის ასაკში. მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება. სპედისწერო დღემ ყველაფერი შეცვალა. ულმობელია წუთისოფელი. სწორედ მაშინ გმტყუენა ბედმა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება, ცრემლი ვერ ანელებს ტკივილს, რომელმაც უკვე ფესვები გაიდგა ჩვენს გულებში. თითქოს დაცარიელდა სამყარო შენს გარეშე. გაფრინდა მეხის დამცემი 6 წელი. შენი სიცოცხლე ხანმოკლე კი არა, ერთი გაელვება იყო. შენ ხომ სიკეთისთვის და სიყვარულისთვის იყავი დაბადებული, რასაც უანგაროდ აკეთებდი. უკვდავი იქნება შენი სახელი, რადგან დედამიწაზე დაბიჯებს შენი საყვარელი ძმისშვილი ლევან დავითაშვილი.

დრო მკურნალიაო, ეს ტყუილია, შვილო. დრო აუტანელი მონატრებაა. იმ დღეს გაჩერდა შენთვის და ჩვენთვის დრო. იმ დღემ მიგვახვედრა, რომ უძლურები ვართ უფლის წინაშე. ლევან, ძალიან, ძალიან გვენატრები, შვილო. შენთვის ხომ ცხოვრება ერთი ლამაზი წამი აღმოჩნდა, წამი, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა და გულში სამუდამო ტკივილი დაგვიტოვა. შენი სანთელი მუდამ ანთია შენს ოჯახში. გლოვაა შენს ოჯახში, შვილო. ასე იქნება, ვიდრე შენთან არ მოვა შენი უბედური დედ-მამა. ძალიან ძნელია მშობლების მისვლა შვილის საფლავზე, მაგრამ რა ვქნათ, ესეც ჩვენი სასჯელია.

მშვიდად იძინე იქ, სადაც არც ჭირია, არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. 27 სექტემბერს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, დაგინთებთ სანთლებს, მოგიტანთ ყვავილებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული სამარადისო სასუფეველში.

„დაგმკვიდრებოდეს სასუფეველი
არ მოგკლებოდეს სხივი ნათელი
ალალი იყოს ცრემლი დაღვრილი
და ანთებული სანთელ-საკმელი.“

შენი ოჯახი

გადაკეტილი ცენტრალური გზატკეცილი მალე გაიხსნება

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური გზატკეცილი, რამდენიმე კვირაა, გადაკეტილია. **რამდენ ხანში გაიხსნება გზა?**-ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს დაუკავშირდა. როგორც სოლომონ ღორაშვილმა განმარტა, „სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთ კვირაში დასრულდება. მოგეხსენებათ, აღნიშნული გზის მონაკვეთზე სანიაღვრე არხი არ იყო ისეთი მედეგი, რომ ცენტრალური გზისთვის შესაბამისი დაწოლისთვის გაეძლო, ამის გამო სანიაღვრეზე დამონტაჟებული ცხაური მუდმივად ზიანდებოდა და ვარდებოდა. ახლა მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შემდეგაც გზის ეს მონაკვეთი აღარ დაზიანდება, რადგან ის 40 ტონიან დატვირთვაზე იქნება გათვლილი“. სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია შპს „ჰიდრო ემი“ ახორციელებს.

ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი იმოქმედებს

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხელშეწყობის მიზნით, ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესში ცვლილება განხორციელდება. კერძოდ, დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული საქართველოში წარმოებული ხორბლის პროდუქციის რეალიზაციისას, მყიდველის ინტერესების დასაცავად, ახალი ალტერნატიული მექანიზმი შემუშავდება. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს. მათივე ცნობით, ცვლილების ამოქმედების შემდეგ, ხორბლის შემძენი მეწარმე-სუბიექტი შეძლებს განხორციელებულ ოპერაციაზე მიმწოდებელს მოსთხოვოს ე.წ. „სპეციალური წესის“ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

„ინიცირებული ცვლილებით, არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ვერ შეძლებს საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის არიდებას. საკანონმდებლო სიახლის გაცნობის მიზნით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს და საქონლის შეძენისას დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესის შესახებ მომზადებული პრეზენტაცია წარუდგინეს. როგორც აღინიშნა, ინიციატივის წარმატებით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალური წესი ამოქმედდეს საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციაზეც. სამუშაო შეხვედრას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ზოგადი ადმინისტრირების მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსი იონა კიზირია, BAG-ის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, ასევე საგადასახადო-საბაჟო მიმართულების მენეჯერი შოთა კომლაძე და მარცვლეული კულტურების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აღნიშნული სიახლის შესახებ „ღია კარის” ფორმატში, საქართველოს მასშტაბით გაგრძელებს შეხვედრებს ბიზნესის წარმომადგენლებთან. აღნიშნული ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში განხორციელდება და ოქტომბრის თვეში, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება”, - ნათქვამია ინფორმაციაში.

„იყო მანდატური, ნიშნავს იზრუნო მომავალი თაობის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე“

ახალი სასწავლო წლიდან ზემო მაჩხაანისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახურმა მუშაობა დაიწყო მანამდე სასწავლო პროცესში წესრიგის უზრუნველყოფას მანდატურები მხოლოდ ქალაქ დედოფლისწყაროს ორ საჯარო სკოლაში ახორციელებდნენ. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მანდატურის სამსახურმა დედოფლისწყაროში სამი ახალი კადრის გადამზადება და დამტკიცება უზრუნველყო. ორი მათგანი თეა ნასრაშვილი და გივი ხუზაურაშვილი ხორნაბუჯის სკოლაში შევიდა, ნინო გიძინაშვილი კი მაჩხაანის. ზემო მაჩხაანის სკოლაში მანდატურის მეორე თანამშრომლის შერჩევა გრძელდება.

როგორც ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორმა **მაია ხუნაშვილმა** „შირაქს“ განუცხადა, „მართალია მეწყვილის გარეშე, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ მანდატურმა ჩვენს სკოლაში უკვე დაიწყო მუშაობა. მეორე მანდატურს შემდეგ ეტაპზე დაამტკიცებენ. ამას გარდა, ახალი სასწავლო წელი სხვა სიახლეებითაც დავიწყეთ. სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტებით აშენდა, თუმცა სპორტული დარბაზი სრულად აღჭურვილი არ იყო. ზაფხულის განმავლობაში სპორტული ინვენტარი დავამონტაჟეთ. განათლების სამინისტროდან სპეციალური დაფინანსება მოვიპოვე და მოვახერხეთ ამის კეთილმოწყობა. ხის სკამები, თანამედროვე სტანდარტების კალათბურთის ფარები, ფრენბურთისა და ფანჯრების დამცველი ბადეები დამონტაჟდა. ამოქმედდება ბადმინტონის სწავლება და ამისათვის შევიძინეთ ჩოგნები და ბურთები,“ - აღნიშნავს მაია ხუნაშვილი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი გელა გელაძე კახეთის რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებს შეხვდა. შეხვედრას მოქმედი და ახალი მანდატურები დაესწრნენ. ლაგოდეხში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სასკოლო სივრცეში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესის დაცვის მიზნით პრევენციისა და რეაგირების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები განიხილეს. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამსახურის უფროსმა მანდატურებთან დეტალურად ისაუბრა სამსახურში მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ და მათ მოსაზრებებს გაეცნო. მსგავსი პირისპირ შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონის მანდატურებთან სისტემატურად ტარდება და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

გაზეთი „შირაქი“ ახლადდანიშნულ მანდატურებს გაესაუბრა და იმის გარკვევას ეცადა, რატომ აირჩიეს ეს საპასუხისმგებლო პროფესია.

თეა ნასრაშვილი: „ახალ სასწავლო წელთან ერთად დავიწყეთ ახალი სამსახური და შევუდექით საქმიანობას. მანდატურობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა... საინტერესოა საგანმანათლებლო სისტემაში ამგვარი სამსახური, რადგან მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დამცველი და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფით ხარ დაინტერესებული. თითოეული მათგანის მეგობარი ვარ და სრულად ჩართული ვარ სასკოლო საქმიანობაში. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ჩემი თავი აქ, ამ სამსახურში აღმოვაჩინე. დავამატებ, რომ ჩემთვის ეს სამსახური ახალი გამოწვევაა და მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში და ასევე მეტ მოსწავლეს გავუწიოთ დახმარება რა მიმართულებითაც დასჭირდებათ. ვცდილობთ, ნდობა მოვიპოვოთ და მათ უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ. წარმატებები მინდა ვუსურვო ჩემს მეწყვილეს გივი ხუზაურაშვილს და მთელ გუნდს საქართველოს მასშტაბით.

ჯერ გასაუბრება გავიარეთ ფსიქოლოგების გუნდთან და საკონკურსო კომისიასთან, დადებითი პასუხების მოსვლის შემდგომ ნორმატივები ჩავაბარეთ შსს აკადემიაში. ამ ნაბიჯის წარმატებით დაძლევის შემდგომ უფლება მოგვეცა ორთვიან სწავლებას შევდგომოდით. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა შევისწავლეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესი და პირობები... ბოლოს ჩავაბარეთ გამოცდა. 100 ქულიდან გამსვლელად ითვლებოდა 51, თუმცა მე 82 ქულა მოვაგროვე. გავიარეთ ბავშვთა უფლებების ძირეული სწავლება, ასევე ფსიქოლოგია. ამაყი ვარ, რადგან ბევრი ვიშრომე, მოვინდომე და წარმატებას მივაღწიე... დამეთანხმებით, დიდი შრომის შედეგად მოდის წარმატება და ოცნებები შეიძლება რამოდენიმე წლის შემდეგაც აისრულო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბებია ვარ, 41 წლის ასაკში საოცარ ფორმაში ვარ... სოფელ სამრეკლოში ვცხოვრობ და სახლიდან ხორნაბუჯის სკოლამდე გზას ყოველდღიურად ფეხით გავდივარ. ფეხით სიარული ჩემს ასაკში სასარგებლოა, ჯანმრთელობაა და თანაც მიმაჩნია, რომ ახლა, ამ სამსახურში მუდმივად ფორმაში უნდა ვიყო. სულხან-საბას პედაგოგიური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტი დავამთავრე. 2011-13 წლებში კერძო სკოლა ბენაურში ისტის პედაგოგი ვიყავი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ბილინგის სპეციალისტი, ბოლო დროს სამრეკლოს სკოლაში ინკლუზიურ სწავლებაში ჩავერთე, შშმ მოსწავლის ასისტენტად ვმუშაობდი. ახლა კი ძალიან დავინტერესდი მანდატურის საქმით. 4 წლის შვილი მყავს და ვფიქრობ, მანდატურის გამოცდილება ბევრად გამიადვილებს საკუთარ შვილთან დაკავშირებით ამა თუ იმ პრობლემისა თუ დაბრკოლების გადაჭრას.

გივი ხუზაურაშვილი: „მანდატურობა დიდი პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე. იყო მანდატური, ეს ნიშნავს, იზრუნო მომავალი თაობის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. ჩემი გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი მანდატური, იმ მიზეზით იყო განპირობებული, რომ მინდოდა, ჩემი წვლილი შემეტანა ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაში.

ძალიან გამიხარდა, როდესაც მანდატურის სამსახურმა ახალ სკოლებში შესასვლელად საჯარო კონკურსი გამოაცხადა. ყოველთვის მინდოდა, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვყოფილიყავი და იმ დიდ გუნდს შევერთებოდი, სადაც ყველა ერთმანეთის გვერდით დგას, ერთმანეთს აძლიერებს და ერთად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის კეთილდღეობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ დღეს, სასკოლო სივრცეში, ჩვენი ბავშვების უსაფრთხოებაზე ვზრუნავ”.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მაყვალა ბოჭორიშვილს!

გილოცავთ მესამე შვილიშვილის – პატარა იოანეს დაბადებას! ბედნიერი ვაჟკაცი გაგეზარდოთ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

ნანა ჭიჭინაძეს!

უბერებელ ქალბატონს - **ნანა ჭიჭინაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

კეთილი სურვილებით:

ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი ოჯახით, მაყვალა ჯორკოშვილი, მაყვალა მამულაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი.

ლია მაისურაძის გამოფენა გაიმართა

თბილისში, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ცნობილი ქართველი დირიჟორის რეზო ტაკიძის 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა. შეხვედრაზე ასევე მოეწყო დედოფლისწყაროელი ხელოვანის, ლია მაისურაძე-გონაშვილის ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიების ერთერთი ორგანიზატორი და პროექტის ავტორი ასევე დედოფლისწყაროელი ნანა ჭიჭინაძე იყო.

„აბობოქრებული ზღვასავით მაქვს გული... ჩემთვის ამდენმა უცხო ხელოვანმა, ცნობილმა მხატვრებმა, კარგად მიმიღეს, მართლა არ ველოდი, ასეთ სითბოს. რა გითხრათ, ძალიან ბედნიერი ვარ! ვფიქრობ, ჩემი ნამუშევრების გამოფენამ წარმატებულად ჩაიარა... საღამო მართლაც საოცარი იყო.... რეზო ტაკიძე უსაყვარლესი, თავდაბალი ადამიანია, დამლოცა... მხატვრებმა მირჩიეს, არ გავჩერდე.... ბევრი საქებარი სიტყვა მომიძღვნეს, ამას თუ ოდესმე ველირსებოდი, თან ხელოვნებაში, ვერ წარმოვიდგენდი ... იმდენად ვღელავდი, ყველაფერი არ მახსოვს,” - აღნიშნავს ლია გონაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 26.09		სამშაბათი 27.09		ოთხშაბათი 28.09		ხუთშაბათი 30.09		პარასკევი 01.10		შაბათი 02.10		კვირა 03.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
20 °	8 °	22°	9 °	24 °	12 °	25 °	12 °	26 °	13 °	26 °	13 °	24 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.